

ვამტკიცებ:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი

სალომე მელია -----

## აჭარის ჩემპიონატი ჭადრაკში 10, 14 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის

ქ. ბათუმი, 22.08.- 28.08.2020 წ.

### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ჩატარების ადგილი: ქ. ბათუმი, სასტუმრო "მიმინო", მის: გიორგი ანწუხელიძის № 64.

ჩატარების სისტემა: ჩემპიონატი ჩატარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული ან წრიული სისტემით 7 ტურად. ტურნირში ფიდეს რეიტინგი არ დაითვლება.

აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი. მონაწილენი: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრი ჭაბუკები და გოგონები აჭარის ყველა რაიონიდან, **დაბადებულნი 2006 და 2010 წლის 1 იანვარს და შემდეგ.**

სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

დროის კონტროლი: თითოეულ მონაწილეს 45 წუთი პარტიის ბოლომდე თითოეულ სვლაზე 30 წამის დამატებით. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში გამარჯვებულები გამოვლინდებიან კოეფიციენტის შემდეგი სისტემით:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი) ;
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;
5. მოგებების მეტი რაოდენობა;

#### რეგისტრაცია:

მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა გადმოაგზავნონ დაბადების მოწმობის ასლი და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის 2020 წლის საწევროს გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი 2020 წლის 21 აგვისტოს ჩათვლით:

ქეთევან მუხამარია - ელ-ფოსტა - [chessketevan@mail.ru](mailto:chessketevan@mail.ru) მობ: 593 302 158

რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელია საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის 2020 წლის საწევროს - 24 ლარის შეტანა შემდეგ ანგარიშზე:

ს. ს. "საქართველოს ბანკი", ანგარიშის № GE95BG000000363099200

#### ტურნირის განრიგი:

ტური	დღე	დრო
I ტური	22 მარტი	16:00
II ტური	23 მარტი	15:00
III ტური	24 მარტი	15:00
IV ტური	25 მარტი	15:00
V ტური	26 მარტი	15:00
VI ტური	27 მარტი	15:00
VII ტური	28 მარტი	15:00

მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით ორგანიზატორი უფლებამოსილია მოახდინოს ტურნირის დაწყების დროის (საათი) შესაბამისი კორექტირება.

**საერთო წესები:**

ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

**პარტის მსვლელობისას მობილურის დარეკვის შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.**

ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში, რომელიც არჩეული იქნება აჭარის ჩემპიონატის გახსნის ცერემონიაზე.

მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად აჭარის ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 20 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

**გამარჯვებულები:** - I, II, III საპრიზო ადგილზე გასული მოჭადრაკეები, აჭარის სპორტის დეპარტამენტისა და აჭარის ჭადრაკის ფედერაციის მიერ დაჯილდოვებიან მედლებით და დიპლომებით, ხოლო აჭარის ჩემპიონები მივლინებული იქნებიან (დღიური და სატურნირო შესატანი) ქ. თბილისში, შესაბამისი ასაკის მოჭადრაკეთა საქართველოს ჩემპიონატზე.

არასაპატიო მიზეზით ტურნირის მიტოვების შემთხვევაში მონაწილე დისკვალიფიცირებული იქნება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანების (#10. 20/01/2014 წ.) შესაბამისად.

კოვიდ - 19 -თან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის გამო მონაწილეთა, მსაჯთა და ორგანიზატორთა ვალდებულებები რეგულირდება დანართი 1 -ით.

**ტურნირის დირექტორი:** აჭარის ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი ქეთევან მუხაშარია.